საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-861

11/06/2021

ქ. თბილისი

„უცხოური საწარმოს ფილიალი შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ასფალტის წარმოების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 მარტის №ი-212 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 29 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა უცხოური საწარმოს ფილიალის შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ დირექტორმა და ითხოვა 2015 წლის №15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ უცხოური საწარმოს ფილიალის შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ ასფალტის წარმოებაზე (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, თბილისი-რუსთავის გზატკეცილის მე-16 კმ) გაიცა №15 (23.03.2015) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

უცხოური საწარმოს ფილიალის შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უცხოური საწარმოს ფილიალი შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ასფალტის წარმოების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 მარტის №ი-212 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს უცხოური საწარმოს ფილიალს შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს უცხოური საწარმოს ფილიალის შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი